



შპს ასსტრა ჯორჯია

ს/კ 405522830

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	12/31/2024	12/31/2023
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	82,541	93,149
არამატერიალური აქტივები	4,810	4,810
სულ გრძელვადიანი აქტივები	87,351	97,959
მიმდინარე აქტივები		
სხვა მოთხოვნები	898	134
სავაჭრო მოთხოვნები	170,553	203,497
გადახდილი ავანსები	526,776	181,800
მარაგები	258	-
ფული და ფულის ექვივალენტები	94,640	33,901
სულ მიმდინარე აქტივები	793,125	419,332
სულ აქტივები	880,476	517,291
კაპიტალი და ვალდებულებები		
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	(1,130,403)	(371,924)
სულ კაპიტალი	(1,130,403)	(371,924)
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	981,828	415,313
სხვა ვალდებულებები	29,497	75
სესხები	999,554	473,827
სულ მიმდინარე ვალდებულებები	2,010,879	889,215
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	880,476	517,291

ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	12/31/2024	12/31/2023
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	82,541	93,149
არამატერიალური აქტივები	4,810	4,810
სულ გრძელვადიანი აქტივები	87,351	97,959
მიმდინარე აქტივები		
სხვა მოთხოვნები	898	134
სავაჭრო მოთხოვნები	170,553	203,497
გადახდილი ავანსები	526,776	181,800
მარაგები	258	-
ფული და ფულის ექვივალენტები	94,640	33,901
სულ მიმდინარე აქტივები	793,125	419,332
სულ აქტივები	880,476	517,291
კაპიტალი და ვალდებულებები		
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	(1,130,403)	(371,924)
სულ კაპიტალი	(1,130,403)	(371,924)
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	981,828	415,313
სხვა ვალდებულებები	29,497	75
სესხები	999,554	473,827
სულ მიმდინარე ვალდებულებები	2,010,879	889,215
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	880,476	517,291



ლარი

სრული შემოსავლის ანგარიშგება	2024	2023
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	4,486,073	3,551,209
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(4,152,665)	(3,244,435)
საერთო მოგება	333,408	306,774
შრომის ანაზღაურება_ადმინისტრაცია	(751,126)	(359,003)
ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	(245,375)	(144,626)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	(663,093)	(196,855)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(5,874)	(527)
საპროცენტო ხარჯი	(49,905)	(20,550)
წმინდა საკუროსო მოგება/(ზარალი)	(12,412)	(33,096)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	(731,284)	(251,028)
მოგების გადასახადი	(27,195)	-
წლის წმინდა მოგება	(758,479)	(251,028)
სხვა სრული შემოსავალი		
მთლიანი მოგება საანგარიშგებო წლისთვის	(758,479)	(251,028)

ლარი

სრული შემოსავლის ანგარიშგება	2024	2023
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	4,486,073	3,551,209
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(4,152,665)	(3,244,435)
საერთო მოგება	333,408	306,774
შრომის ანაზღაურება_ადმინისტრაცია	(751,126)	(359,003)
ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	(245,375)	(144,626)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	(663,093)	(196,855)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(5,874)	(527)
საპროცენტო ხარჯი	(49,905)	(20,550)
წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)	(12,412)	(33,096)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	(731,284)	(251,028)
მოგების გადასახადი	(27,195)	-
წლის წმინდა მოგება	(758,479)	(251,028)
სხვა სრული შემოსავალი		
მთლიანი მოგება საანგარიშგებო წლისთვის	(758,479)	(251,028)



1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია.

შპს ასსტრა ჯორჯია დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის ნორმების დაცვით 2022 წელს და დაარსებიდან დღემდე აწარმოებს ექსპედიტორულ მომსახურებას საერთაშორისო გადაზიდვებში. გადაზიდვები ხორციელდება კავკასიისა და ევროპის ქვეყნებში, ასევე დსთ ქვეყნებსა და აღმოსავლეთ აზიაში.

კომპანიის დამფუძნებელი და 100%-ის წილი მფობელია კომპანია Asstra Forwarding JSC, CHE-115.138.470 /შვეიცარია/.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, თორნიკე ერისთავის ქუჩა, N27, კომერციული ფართი N6.

კომპანიის ფაქტიური მისამართი შეესაბამება რეგისტრაციის მისამართს.

2. მომზადების საფუძველი და საადრიცხო პოლიტიკა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის, შემდგომში მსს სტანდარტის შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამე არაა მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ საგანგებოდ არ არის სხვა რამე მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

საადრიცხო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები, სავალუტო რისკი

ფუნქციონირების და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

საწარმო სავაჭრო ურთიერთობისას მომწოდებლებთან, მყიდველებთან, თანამშრომლებთან და სხვა ფულადი ანგარიშსწორებისას იყენებს უნაღდო საბანკო ანგარიშებზე გადახდის მეთოდს.

უცხოურ მომწოდებელ და სატრანსპორტო კომპანიებთან ახორციელებს უნაღდო ანგარიშსწორებას ინვოისში მითითებული ვალუტით.

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილებების რისკი. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის გაანგარიშება:

გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1 აშშ დოლარი - 2.9753 ლარი; 1 ევრო - 2.6894 ლარი;

გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1 აშშ დოლარი - 2.8068 ლარი; 1 ევრო - 2.9306 ლარი;

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

ადიარება და შეფასება. ძირითადი საშუალების თავდაპირველი ადიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ ადიარდება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის ადიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) ადიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ცვეთა. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

მსუბუქი ავტომობილები - 60 თვე

ავეჯი და საოფისე ინვენტარი - 60 თვე

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ლარში საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული კურსის მიხედვით.

სესხები. სესხები თავდაპირველად ადიარდება რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფინანსური ვალდებულებები გადაანგარიშდება ლარში საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული კურსის მიხედვით.

გადასახადები. 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, შესაბამისად კომპანია არ ადიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან ადიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

შემოსავლების ადიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას. კომპანია ადიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

ხარჯების ადიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები ადიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ადიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

3. განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საშუალებები

ლარი	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ღირებულება				
2023 წლის 1 იანვარი	24963	2135	61699	88798
შესყიდვები	15723	10394	0	26117
2023 წლის 31 დეკემბერი	40686	12529	61699	114915
შესყიდვები	4015	10210	0	14226
2024 წლის 31 დეკემბერი	44702	22740	61699	129141
დაგროვილი ცვეთა				
2023 წლის 1 იანვარი	1448	173	574	2196
წლის ცვეთა	6241	966	12363	19570
2023 წლის 31 დეკემბერი	7689	1139	12937	21766
წლის ცვეთა	8412	4063	12359	24835
2024 წლის 31 დეკემბერი	16102	5202	25296	46601
საბალანსო ღირებულება				
2023 წლის 1 იანვარი	23515	1962	61125	86602
2023 წლის 31 დეკემბერი	32997	11390	48762	93149
2024 წლის 31 დეკემბერი	28600	17538	36403	82541

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნების აღნიშნულ ნაწილში ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები შეადგენდა 203497 ლარს, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთი არის 170553 ლარი, ასევე მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 181800 ლარს, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთი არის 526776 ლარი .

ფული და ფულის ექვივალენტი

კომპანიას არ გააჩნია ტრანზაქციები ნაღდი ფულით, ფულის არსებული ნაშთები ფიქსირდება საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ვალდებულებების აღნიშნულ ნაწილში ყველა თანხა არის მოკლევადიანი. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები შეადგენდა 415313 ლარს, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთი არის 981828 ლარი.

საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
დასაქმებულთა ანაზღაურება	751126	359003
ცვეთა	24835	19789
საპროცენტო ხარჯი	49905	20550
იჯარის ხარჯი	121622	53946
სხვა საოპერაციო ხარჯები	98918	70891

ნასესხები თანხები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

	12/31/2024	12/31/2023
სესხის ძირი	921732	446295
დაგროვილი პროცენტი	77822	27532

დირექტორი
ლარისა მევზ

საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
დასაქმებულთა ანაზღაურება	751126	359003
ცვეთა	24835	19789
საპროცენტო ხარჯი	49905	20550
იჯარის ხარჯი	121622	53946
სხვა საოპერაციო ხარჯები	98918	70891

ნასესხები თანხები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

	12/31/2024	12/31/2023
სესხის ძირი	921732	446295
დაგროვილი პროცენტი	77822	27532

დირექტორი
ლარისა მევს

